საქართველოს მთავრობის

დადგენილება №101

2013 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, რომ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) და შპს „საკრედიტო ისტორიათა ქართულ ბიუროს“ (ს/ნ 401963096) გადასცეს იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

2. სს „კრედიტინფო საქართველო“ (ს/ნ 204470740) და შპს „საკრედიტო ისტორიათა ქართული ბიურო“ (ს/ნ 401963096) უფლებამოსილები არიან, რომ კომერციულ ბანკს გადასცენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის მიერ გადაცემული იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის №295 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**